კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში კონსტიტუციის მე-5 თავში განსახორციელებელი ძირითადი ცვლილებები

1. საქართველოს კონსტიტუციურმა რეფორმამ უნდა გაითვალისწინოს სასამართლო ხელისუფლების დაფინანსების საკითხი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და ჯეროვნად განხორციელებას. სასამართლო ხელისუფლებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის შესაბამის ოდენობასთან შედარებით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაიშვებოდეს, თუ არსებობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს, წინასწარი თანხმობა.

2. საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში უნდა გაუქმდეს მოსამართლის სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობა.

3. საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საერთო სასამართლოების კვოტით საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში უნდა განხორციელდეს ცვლილება. ნაცვლად უზენაესი სასამართლოს პლენუმისა, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრის არჩევის უფლება უნდა გადაეცეს კონფერენციას.

4. საკონსტიტუციო რეფორმამ ქვეყნის უზენაესი კანონით უნდა განსაზღვროს უზენაესი სასამრთლოს მოსამართლეთა რაოდენობის საკითხი.

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების სააგენტო
საქართველოს გაეროს ასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი
სამოქალაქო ჩართულობის ინსტიტუტი
საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველოს ევროპული არჩევანი